# თავისუფალი საქართველო

№17

14 - 21 მაისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი ფსევდო რევოლუციის მოლოდინში

მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რუსეთში შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად, მიმომხილველთა ერთი ნაწილი რევოლუციური სიტუაციის ქრესტომატიულ განსაზღვრებებს იყენებს, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ცხოვრება რუსეთში ჩვეულებრივ კალაპოტში მიედინება და, თუმცა, დიდია პრეზიდენტობის კანდიდატთა და მათ მომხრეთა ვნებათაღელვა, ეს ყველაფერი მაინც შორსაა რევოლუციური სიტუაციის კლასიკური - მარქსისტულ-ლენინური განმარტებისგან. ალბათ იმიტომ, რომ თვით ყველაზე მოულოდნელი შედეგის შემთხვევაშიც, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რუსეთის პოლიტიკური კურსი უცვლელი დარჩება და იქნებ იმპერიულ ფასადს კოსმეტიკური ცვლილებებიც კი არ დასჭირდეს.

ვისაც ამ ბოლო ხანს "დემოკრატიულ საყოველთაო არჩევნებში" "საკუთარი" პრეზიდენტი აურჩევია, კარგად იცის ამგვარი წინასაარჩევნო კამპანიის ყოველი ნიუანსი; ესმის, რა წონა და მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებაში მყოფი კანდიდატის ყოველ პოლიტიკურ ნაბიჯს და მაქინაციებს; რით მთავრდება ხოლმე ამგვარი პოლიტიკურ-დემოკრატიული ასპარეზობანი.

ბ. ელცინის წინასაარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, ყველაზე "ტრადიციული" ნიშნით ხასიათდება: დაიწყო "უანგარო" ზრუნვა ამომრჩეველზე, ფიქრი მისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ხელფასების მომატებაზე და ა.შ. ყოველივე ზემოთქმულს ელცინის წინასაარჩევნო არსენალში ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორიც "მილიონი ახალი სამუშაო ადგილის" თემას შევარდნაძემოქკავშირის საარჩევნო პლატფორმაში (უნდა ითქვას ისიც, რომ ამგვარი სოციალური საკითხებით ყოფიერების ცნობიერებაზე მაღლა დამყენებელი კომუნისტებიც ფრიად არიან დაინტერესებულნი). არავინ უწყის, აღსრულდება თუ არა ელცინის დაპირებები რუსეთის მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებასთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, ეფექტურად მიმდინარეობს რუსეთის იმპერიის განახლების, ხალხთა რეინტეგრაციის პროცესი. გრძელდება ჩეჩენი ხალხის გენოციდი, რომელსაც მოსკოველი პრეზიდენტი ომის დამთავრებას უწოდებს. ეს ყველაფერი ბ. ელცინის წინასაარჩევნო კამპანიის ჩარჩოებში ხდება და რუსეთის პრეზიდენტი ამ "წარმატებებს" თავის უმთავრეს კოზირად მიიჩნევს.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც გადასაჭრელი აქვს ელცინს, ჩეჩნეთის ომის სასწრაფო დასრულებაა. რაც შეეხება ელცინის მორიგ "ჰეროიკულ ალტკინებას" - ჩეჩნეთში მოგზაურობის სურვილს - იგი სათავეს მსოფლიოში გამორჩეულ და "დემოკრატიულ" პოლიტიკოსთა ცხოვრების კოდექსიდან იღებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ელცინის ვიზიტისთვის ჩეჩნეთში უგანსაკუთრებულესი სიფრთხილის ზომებს მიიღებენ და მისი სტუმრობაც დიდ რისკთან არ იქნება დაკავშირებული. მით უმეტეს, რომ **გმირის** სახელის მოსაპოვებლად სულაც არაა საჭირო მაინცდამაინც ფრონტის ხაზზე გასვლა. ამისთვის საკმარისია დაახლოებით იმ მანძილზე მიუახლოვდე საშიშ ზონას, როგორც ქართველთა სწორუპოვარი მთავარსარდალი - სოხუმს.

რუსეთის პრეზიდენტის მოღვაწეობას წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება აქვს. მართალია, კომუნისტების მიერ სსრკ-ს აღდგენასთან დაკავშირებით აღძრული ვნებები თითქმის ჩაცხრა და ამ საკითხის შესახებ მხოლოდ თავგადაკლული დემოკრატებიღა ლაპარაკობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, კვლავ აქტუალურია დსთ-ს ახალი ინტეგრაციის პრობლემა, რომლის ჭეშმარიტი არსი დღითიდღე ნათელი ხდება. ინტეგრაციის პროექტის ავტორები ახალ-ახალ, ქმედით ნაბიჯებს დგამენ და უკვე საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება მოასწრეს ამ მიმართულებით. ამის დადასტურებაა ე.წ. კოალიციური ჯარების შექმნის იდეა, რომლის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობაზე უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მესვეურები. ამასთან დაკავშირებით, ერევანში ვიზიტის შემდეგ პ. გრაჩოვმა განაცხადა, რომ 1996 წლის ივლისში ჩატარდება ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და სომხეთის არმიის ერთობლივი საბრძოლო მეცადინეობები.

ცოტა ხნის წინ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის არსებობის ფაქტი - ლაპარაკია "რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის" (1996-2000 წლისთვის) პროექტზე, რომელზედაც პრაქტიკულად რუსეთის მთელი პოლიტიკური ელიტა მუშაობდა და, ალბათ, იგი საპრეზიდენტო არჩევნების ნებისმიერი შედეგებით დასრულების შემთხვევაში , შეინარჩუნებს აქტუალობას. ჯერჯერობით კი ეს პროექტი ბ. ელცინის საპროგრამო დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს. მისი მთავარი "იმპერიული ღირსება" ისაა, რომ იგი ითვალისწინებს ე.წ. რუსული ორიენტაციის მოსახლეობის, ანუ "როსსიანების" საკითხის "დარეგულირებას". ეს მეტად პირობითი ტერმინი - "როსსიანე", გულისხმობს იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთში არ ცხოვრობენ, მაგრამ ორიენტირებულნი არიან რუსულ ფასეულობებზე. ამრიგად, "რუსულენოვანი მოსახლეობის" ნაცვლად, რუსული "დემოკრატიის" წიაღში, ახალი ეთნიკური დაჯგუფება - "რუსული ორიენტაციის ადამიანები" იშვა. მას, ალბათ, მეხუთე კოლონის ფუნქციები დაეკისრება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. ეს დაჯგუფება საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა ბალტიისპირეთის ქვეყნებში (საითკენაც რუსეთი, ამ ბოლო დროს, სულ უფრო მოურიდებლად აპარებს თვალს), უკრაინაში, სომხეთში, საქართველოში. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, რას უქადის აღნიშნული პროექტი საქართველოს, რუსეთთან "კეთილმეზობლური" ტრადიციების აღორძინების ფონზე.

ამრიგად, "დემოკრატიული ინტეგრაციის" მესაჭის როლს დღესდღეობით ელცინი ასრულებს. იმპერიის მოდერნიზაციის გეგმა მისი ხელმძღვანელობითა და ადგილობრივ მარიონეტთა ხელშეწყობით ხორციელდება. ეს ფაქტორი კი, შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს ახალი პრეზიდენტის არჩევისას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ამ ბოლო დროს რუსეთში შეინიშნება ე.წ. დემოკრატიული ძალებისა და ელცინის დაახლოების ტენდენცია. ცოტა ხნის წინ, რუსეთის პრეზიდენტი შეხვდა გრ. იავლინსკის. შეხვედრისას დაისვა საკითხი ყველა დემოკრატიული ძალის ელცინის გარშემო გაერთიანების შესახებ. რა შედეგს გამოიღებს ამგვარი ცდა, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, ზიუგანოვის სახით, "საერთო მტრის" ხატი შეუქმნას პრეზიდენტობის დანარჩენ მაძიებლებს. ფორმულა ტრადიციულია - კომუნისტები დანთქმას უპირებენ "აყვავებულ დემოკრატიას".

ამ საფრთხეს საქართველო "გადაურჩა". რა ელის რუსეთს? - ეს მისი ხელისუფლების გამჭრიახობაზე, ოსტატობასა და რუსეთის იმპერიული ამბიციების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების უნარზე იქნება დამოკიდებული.

*ნუგზარ წიკლაური*

## რა ღირს პოლიტიკური თავშესაფარი

25 აპრილს, "გამსახურდიასა და მის მომხრეთა" პოლიტიკურ სასამართლო პროცესზე, შესვენების დროს, დამსწრეთა შორის გამოჩნდა უცხოელი სტუმარი და, ბუნებრივია, ჟურნალისტები გაესაუბრნენ მას. როდესაც შეიტყვეს, რომ იგი ნიდერლანდებიდან იყო, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მიმართა კითხვით - იცის თუ არა, რომ მისი ქვეყანა იფარებს საქართველოდან ემიგრირებულ ბევრ ისეთ პიროვნებას, რომლებიც დევნას არ განიცდიან და მხოლოდ კომფორტული ცხოვრების სურვილით ტოვებენ სამშობლოს.

აღმოჩნდა, რომ ბატონი ემილ მოლერი სწორედ საქართველოდან ემიგრირებულთა პრობლემებით არის დაინტერესებული და საქართველოში მისი ვიზიტიც ამ საკითხის კვლევას ემსახურება.

ჩვენ ვესაუბრეთ ბატონ მოლერს:

**კორესპონდენტი: რა მიზნით ჩამობრძანდით საქართველოში?**

**ემილ მოლერი:** ჩემი ჩამოსვლის მიზანი გახლავთ საქართველოში სიტუაციის შესწავლა, რათა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის მოტივაცია, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები ასახელებენ ნიდერლანდებში თავშესაფრის მოთხოვნის დროს. მე დიდი ხანია ვსწავლობ საქართველოდან ლტოლვილთა საქმეებს. დაწერილი მაქვს მოხსენება ნიდერლანდების საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების დაკვეთით. ახლა ამ ნაშრომის დასკვნების სისწორეს ვამოწმებ. დღეს ნიდერლანდებში თავშესაფარს ითხოვს 1800 ქართველი. ეს დიდი ციფრია. თითოეულ შემთხვევას სჭირდება შესწავლა, გამოკვლევა, გადამოწმება.

**კორ.: ძირითადად რა მოტივებს ასახელებენ ლტოლვილები?**

**მოლერი:** უმეტესად პოლიტიკურ მოტივებს, იშვიათად რელიგიურს. ადრე ძალიან პოპულარული იყო "ზვიადისტობა". ამბობდნენ, რომ ისინი კანონიერი პრეზიდენტის მომხრეები არიან და ამის გამო იდევნებიან დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან. დღეს უფრო პოპულარულია კრიმინალური მოტივაცია. ლტოლვილთა თქმით, უმძიმესი კრიმინალური სიტუაციაა საშიშროებას უქმნის მათი სიცოცხლის უსაფრთხოებას. ისინი დაუცველად გრძნობენ თავს საკუთარ ქვეყანაში.

**კორ.: როგორია პოლიტიკური თავშესაფრის მიღების მექანიზმი?**

**მოლერი:** ლტოლვილებმა უნდა დაასაბუთონ, რომ მათ მართლა არ დაედგომებათ თავის ქვეყანაში. ისტორია, რომელსაც ისინი ყვებიან, სარწმუნოდ უნდა ჟღერდეს. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, სულ უფრო რთულდება იმის დადგენა, როდის ამბობენ სიმართლეს და როდის ცრუობენ. ამუშავდა ასეთი მექანიზმი: არსებობს კარგად გაწვრთნილ იურისტთა მთელი კლანი; ისინი უზარმაზარ ფულს აკეთებენ დამაჯერებელი ისტორიის შეთხზვასა და შემდეგ კლიენტის სათანადოდ გაწვრთნაში, რომ მან მომგებიანად წარუდგინოს თავი კომისიას. ასწავლიან კითხვებზე პასუხის გაცემას, განცხადებების სათანადოდ გაფორმებას და სხვა... ასე რომ, შეიძლება მართალ, მაგრამ არამომგებიანად წარმოდგენილ ისტორიას კარგად გაფორმებულმა ტყუილმა აჯობოს და თავშესაფარი იმან მიიღოს, ვისაც ეს სიცოცხლის გადასარჩენად კი არა, უბრალოდ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად სჭირდება.

**კორ.: თქვენ ორჯერ დაესწარით მიმდინარე პოლიტიკურ სასამართლო პროცესს. ვინ გამოიწვია თქვენი ინტერესი - განსასჯელებმა თუ სასამართლო ხელისუფლებამ?**

**მოლერი:** ეს მეტად უცნაური პროცესია. მე თავად იურისტი ვარ და პირველად ვნახე პროცესი, სადაც განსასჯელები და მოსამართლე განუწყვეტელ კონტაქტში არიან ერთმანეთთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი თვითონ იცავენ თავის თავს. პროცესს ფაქტობრივად მსჯავრდებულები წარმართავენ. ადვოკატების გარეშე.

**კორ.: არაოფიციალური წყაროებით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მათ შორის, ვინც თქვენს ქვეყანაში თავშესაფარს ითხოვს, მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილის ოჯახიც არის. გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ.**

**მოლერი:** მე არ ვარ უფლებამოსილი ცალკეულ პიროვნებებზე ვისაუბრო. ამისთვის მათი ადვოკატების თანხმობაა საჭირო. ისე, ეს შესაძლებელია. ყველას აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

**კორ.: როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს უცხოელზე ჩვენი ქვეყანა?**

**მოლერი:** აქ ხანგრძლივი დროის მანძილზე უცხო ქვეყნის კანონები მოქმედებდა; ამიტომ თქვენ შინაგანად არ გაქვთ პატივისცემა კანონის მიმართ. ეს ყველაფერს ასვამს თავის დაღლას. კანონთან მიმართება აქ ფორმალურ ხასიათს ატარებს როგორც უბრალო მოქალაქის, ასევე მისი აღმსრულებლის მხრიდან. ისე, საქართველო ცოცხალი, ენერგიული, საინტერესო ქვეყანა ჩანს.

**ბატონი მოლერი მართალია - ყველას აქვს უფლება შეხედულებისამებრ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არა იმის ხარჯზე, ისე აოხროს საკუთარი სამშობლო, რომ იქიდან გაქცევის სურვილი სარწმუნო ჩანდეს. ხომ ფაქტია, არც ერთ მართლა დევნილს არ ექნება იმის საშუალება, ძვირადღირებული ადვოკატი დაიქირავოს და მომგებიანი ისტორიის შედგენა დაუკვეთოს.**

**საინტერესოა, რა სახის მოტივაციას იგონებენ მათთვის, ვინც თავად წარმოადგენს იმ ხელისუფლებას, რომლისგანაც თავშესაფარს მათივე ოჯახის წევრები უცხო სახელმწიფოებში ეძიებენ?**

**11-12 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ევგენი პრიმაკოვი, კავკასიის რესპუბლიკებში მოგზაურობდა...**

## კავკასიური მშვიდობის ექსპორტი რუსეთიდან

რასაკვირველია, სამშვიდობო მისიით. ამჯერად, რუსეთის საგარეო უწყების შეფის ვიზიტი აზერბაიჯანსა და სომხეთში სრულიად კონკრეტულ მიზანს ისახავდა - ტყვეების გაცვლას ორ მეომარ ქვეყანას შორის.

"მშობლიურ" საქართველოში თავის წინამორბედთან შეხვედრა და საუბარი აფხაზეთის პრობლემის გარშემო, ლეგალური ინფორმაციების თანახმად, უფრო ზოგადი კონსულტაციის სახეს ატარებდა და დიდად საგულისხმოც არ გახდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: საგარეო საქმეთა მინისტრის ლამის მარადიული მოადგილე, ბორის პასტუხოვი თურმე ალიარებს, რომ ქართველებს ომი აფხაზებთან არ წააუგიათ. "მან იცის ვისთანაც წავაგეთ ომი. მან ყველაფერი კარგად იცის" - განაცხადა თამაზ ნადარეიშვილმა. მისი და საქართველოს ოფიციოზის აზრით, რუსეთმა ჭკუა ისწავლა ჩეჩნეთის მაგალითზე და ახლა ცდილობს ძველი შეცდომების გამოსწორებას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება კვლავ ლამის ლამაზმანივით ეკეკლუცება რუსეთს და თან ნამუსსაც უნახავს.

ამდენად, დაიწყო რუსეთის მშვიდობისმოყვრული მისიის სრულიად კავკასიური მასშტაბით განხორციელების ახალი ეტაპი. ეს ინიციატივა სავსებით თავსებადია "მშვიდობიანი კავკასიის" შევარდნაძე-ალიევისეულ იდეასთან. მეტიც: საფიქრალია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიდერთა წამოწყება იმთავითვე ითვალისწინებდა რუსეთის აუცილობელ ჩართვას კავკასიის ვითომდა გაერთიანების პროცესში. ასე რომ, რუსეთი მკვიდრდება კავკასიური სივრცის ყველა სფეროში, მის სოციუმში იკავებს ყველა ნიშას და რეგიონის გეოპოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება.

მეტად საგულისხმოა, რომ უახლოეს დღეებში აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებები აპირებენ გალისა და ოჩამჩირის რაიონში საბრძოლო მეცადინეობების ჩატარებას. ცხადია, რუსეთის არმიის სამშვიდობო კონტიგენტი ამას ხელს არ შეუშლის. რას იზამ, ესეც რუსეთის მშვიდობისმოყვრული მისიის ერთ-ერთი მიმართულებაა - დაპირისპირებულ მხარეთა შეგულიანება.

საკითხავია მხოლოდ, ამჯერად რას ისახავს მიზნად "დაჭკვიანებული" რუსეთის მესიანიზმი - ქულების დაგროვებას საპრეზიდენტო არჩევნების წინ, თუ ახალი შეიარაღებული ავანტიურისთვის წინაპირობების მომზადებას?!

*რომანოზ საგინაშვილი*

ეროვნული

# სოხუმის აღება რუსეთის არმიის გენერალურ შტაბში დაიგეგმა

**პირველი მაისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ არ მისცა საშუალება საზოგადოებრივ დამცველს, ლია ბერუაშვილს დაეკითხა ერთ ერთი დაზარალებული რევაზ ჟვანია, პროფესიონალი მზვერავი, რუსეთის არმიის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცერი, ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი. ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, სხდომის შემდეგ, ქუჩაში იქნა აღებული**

- თქვენ თქვით, რომ მსახურობდით გროზნოში, შემდეგ აფხაზებთან, ახლა საქართველოს სტრუქტურებში ხართ. მაპატიეთ პირდაპირი კითხვისთვის; მე მაინტრესებს: ვის ექვემდებარებოდით - ამიერკავკასიის ოლქს, რუსეთს, საქართველოს, თუ ვის?

- ადრე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს, ახლა - საქართველოს.

- როდესაც ჩეკაში მსახურობდით, ვისი საკადრო ოფიცერი იყავით, რუსეთის?

- დიახ რუსეთის.

- ე.ი. ხართ რუსეთის არმიის საკადრო ოფიცერი?

- ეხლა მე საქართველოს არმიაში ვითვლები.

- როგორ ფიქრობთ, 27 ივლისის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, არსებობდა გარანტიები იმისა, რომ არ აიღებდნენ სოხუმს? აფხაზები ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს?

- ჩვენ ყველა ვალდებულება შევასრულეთ, იმათ - არც ერთი.

- ხომ არ გახსოვთ, როდის დაიწყო ხალხის ევაკუაცია რუსეთის გემებით - თავიდანვე, ბრძოლების დასაწყისში, თუ უფრო ბოლოსკენ?

- არა, სოხუმი უკვე აღებული იყო...

- მე გავცნობივარ ოპერატიულ მონაცემებს, რომელშიც არის სრული ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში. ეს არ არის დახურული ინფორმაცია - იგი იბეჭდებოდა კიდეც. თქვენ, როგორც ჩეკისტმა, რა იცით ამის შესახებ.

- თქვენ იცით, ვინ გეგმავდა სოხუმის აღებას?

- არა. იქნებ მითხრათ...

- გენერალი კოლესნიკოვი, რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, და გენერალი სიგუტკინი.

- ამ მასალებში იყო კიდევ ასეთი მომენტი და მე მინდა გადავამოწმო თქვენთან. იქ ნათქვამია, რომ სოხუმის აღება უფრო ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ იმ მომენტისთვის გაცხადდა ამ ოპერაციაში რუსეთის ჯარების მონაწილეობის ჩანაფიქრი და, რათა ეს მეტ-ნაკლებად შეენიღბათ, ქალაქის აღება სხვა დროისთვის გადაიტანეს. მართლა ასე იყო თუ არა?

- არა. იქ ყველაფერი გეგმის მიხედვით კეთდებოდა - მე ასე ვფიქრობ. ვიცი მხოლოდ, რომ კოლესნიკოვი და სიგუტკინი ხელმძღვანელობდნენ ამ ოპერაციას. სოხუმის აღების შემდეგ კოლესნიკოვი დარჩა, ხოლო სიგუტკინი მოაცილეს - პენსიაზე გაუშვეს.

- ვისთან ჰქონდა აფხაზურ მხარეს კონსულტაციები?

- ამას აკეთებდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი.

- ე.ი. ყველაფერს ისინი უკეთებდნენ - მასალებს, გეგმებს, რუკებს?

- ყველაფერს. აბა რა გეგონათ, ვინ გამოაგზავნა ხალხი დუბოსარიდან - ეს ხომ გენერალ ლებედის არმია იყო. მათ ისეთი ჭავშანჟილეტები ეცვათ, გინდ გისვრია, გინდ არა - მაინც არ ეცემოდნენ.

- თქვენ ისინი ნანახი გყავთ? სად და როდის?

- შრომის მიმართულებაზე, როდესაც ფუნიკულიორს იღებდნენ; კინდღშიც იყვნენ...

- და ეს თქვენ თვითონ ნახეთ?

- რასაკვირველია. რას ამბობთ, რამდენი აიყვანეს ტყვედ...

- მიკვირს კიდეც, თქვენ რომ ამას ამბობთ. ხელისუფლება ამტკიცებს, თითქოს სულელმა ქართველებმა ჯერ ერთმანეთი დახოცეს, შემდეგ აფხაზებს დაესხნენ თავს, ხოლო რუსეთის არმია, როგორც წესი, სამშვიდობო მისიით გამოდის.

- და რას აკეთებენ ეს სამშვიდობო ძალები, იცით? არაფერს. იგივე იაკუშევი გაძღა ფულით, გაძღა მანდარინით, რომელიც იქიდან გააქვთ. აბა ნახეთ, აფხაზების ფორმირები რუსებთან ერთად, როცა უნდათ, შემოდიან ზუგდიდში. ძარცვავენ, კლავენ ხალხს, მერე გამოსასყიდს იღებენ. რის საფუძველზე ხდება ეს? რას აკეთებს იქ იაკუშევი?

- თქვენ ფიქრობთ, ამაში მხოლოდ იაკუშევია გარეული?

- ეს ჩემი ვარაუდია.

- თქვენ ხომ მზვერავი ხართ - რა, შევარდნაძემ, ხელისუფლებამ არ იცის ეს ყველაფერი?

- იცის, როგორ არა. რამდენჯერ მოახსენა ჩვენმა ხელმძღვანელობამ. ამბობენ, დავამყარებთ წესრიგსო. არაფერსაც არ ამყარებენ. რატომ არის იაკუშევის შტაბი ოჩამში და არა ზუგდიდში? რას აკეთებენ იქ ამ ეუთო-ს, გაერო-ს მისიები? ბიჭვინთაში ისვენებენ და მეტს არაფერს. გაერო - ეს უმაღლესი მაფიაა.

# აქცია დამწვარი სასტუმროს ნანგრევებში

სასტუმრო აფხაზეთის წინ,7 მაისს სამაჩაბლოელმა ლტოლვილებმა დაიწყეს [illegible] **"სამაჩაბლოც საქართველოა"**. აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნაა შეწყდეს ის მოლაპარაკება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთის დახმარებით აწარმოებს ოსურ მხარესთან. აქციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ არსებული ხელშეკრულების პროექტი, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას ნულოვანი ვარიანტიდან იწყებს, მათთვის მიუღებელია. მათი აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ სამაჩაბლოში დაბრუნებული ქართველობა (თუ ეს საერთოდ მოხდა) უფრო დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე მანამდე იყო. ეს კი გაპირობებულია იმით, რომ ამ რეგიონის მატერიალური სიმდიდრე, პრაქტიკულად, ოსური მხარის ხელშია, ხოლო იქ დაბრუნებულ ქართველობას მხოლოდ მათი მოსამსახურე პერსონალის ფუნქცია მიენიჭება.

რაც შეეხება რეგიონში მათ დაბრუნებას, აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ არ ენდობიან არსებული ხელისუფლების მხრიდან მიცემულ უსაფრთხოების გარანტიებს, რადგან აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების მაგალითი იძლევა ამგვარი შიშის საფუძველს.

აქციის მონაწილეებს აქვთ სოციალური მოთხოვნებიც. მათ მიაჩნიათ, რომ სასტუმროს დაწვა დივერსიული აქტი იყო, რომლის გამოძიებაც ხელოვნურად ჭიანურდება. ამ შემთხვევის გამო დაზარალებული, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები სოციალურად სრულიად დაუცველნი არიან. მათ არ გააჩნიათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, საარსებო წყარო და არა აქვთ თვით საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების საშუალება. ამის გამო ისინი საქართველოს მოქალაქეებად აღარ ითვლებიან, რაც კიდევ უფრო უმძაფრებს ლტოლვილებს მიუსაფრობისა და საკუთარ მიწაზე დევნილობის შეგრძნებას.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციის მეშვიდე დღიდან დაიწყებენ შიმშილობას.

# სასამართლოზე პატივს მიაგებენ ჯოჰარ დუდაევის ხსოვნას

**7 მაისის სასამართლო სხდომაზე ნუგზარ მოლოდინაშვილს თავზე თუშური ქუდი ეხურა. მოსამართლის შენიშვნაზე, მოეხადა ქუდი, მან კატეგორიული უარი განაცხადა და განუმარტა სასამართლო კოლეგიას ამის მიზეზი**

"ეს ქუდი მე მაჩუქა ჩემმა ვაინახმა დამ გუშინ, აქ, ამ სასამართლო პროცესზე და უნდა გითხრათ, მე ჩემი თავი უბედნიერეს კაცად ჩავთვალე. ეს სიყვარული მეკუთვნის არა იმდენად მე, რამდენადაც იმ ადამიანებს, რომლებმაც ქართველებსა და ვაინახებს შორის უდიდესი გრძნობა დათესეს - ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევს. ქართველთა და ვაინახთა მეგობრობას დიდი ისტორიული ტრადიცია აქვს, მაგრამ ეს ბოლო მაგალითი მეგობრობისა ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევს შორის იმ დიდი ერთობის საფუძველია, რომელიც აუცილებლად გამოიღებს მომავალში კეთილ ნაყოფს ჩვენი ხალხებისთვის. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ სიყვარულის ნაყოფი, ქართველთა შორის ერთ-ერთმა პირველმა ვიგემე.

მე გთხოვთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია პირადი მამაცობა, ვისთვისაც ძვირფასია ვაჟკაცობა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს სიყვარული, მისი თავისუფლებისთვის ბრძოლა და, თუ ეს საჭირო გახდა, მისთვის სიცოცხლის შეწირვა, ფეხზე ადგომით პატივი მივაგოთ ჯოჰარ დუდაევის ხსოვნას."

დარბაზში შეკრებილი ხალხი ფეხზე ადგა. ისხდნენ მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები, ბრალმდებლები და სასამართლო კოლეგია. მოსამართლე აყვირდა - დაბრძანდით, დაბრძანდით. ნუგზარ მოლოდინაშვილმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და შემდეგ მიმართა მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილს:

"- მე მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ ორივენი, ჩვენდა საამაყოდ, ვართ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის შვილები და შესანიშნავად მოგვეხსენება, თქვენც და მეც, რომ ჩემი და თქვენი წინაპრები ამ ნამუსის ქუდს იხურავდნენ ბრძოლის დროს მუზარადისა და ჩაჩქანის ქვეშ. ვინაიდან ვთვლი, რომ ვარ ბოროტებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მდგომარეობაში, მე ვფიცავ, რომ სანამ ეს ბრძოლა გამარჯვებით არ დასრულდება, ამ ქუდს არავითარ შემთხვევაში არ მოვიხდი, ხოლო თუ ამ ბრძოლაში გამარჯვება არ მიწერია, მე ვთხოვ ყველა ჩემს მეგობარს, ვისაც მე ვუყვარვარ, საფლავში გამაცილონ ამ ქუდით."

# სასამართლო პროცესი ცარიელ დარბაზში

როდესაც უნდა განახლებულიყო ბადრი ზარანდიასა და სხვათა სასამართლო პროცესი,7 მაისს, განსასჯელებმა უარი განაცხადეს დარბაზში ამოსვლაზე მანამ, სანამ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე არ განიხილავდა ბ. ზარანდიას მოთხოვნას მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თაობაზე. 2 მაისიდან მოყოლებული, მიუხედავად შიმშილობის აქციისა, მოსამართლე თავიდან ირიდებდა პასუხისმგებლობას და ამტკიცებდა, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მის კომპეტენციაში არ შედის. დარბაზში ამოსვლაზე მხოლოდ ორი განსასჯელი დათანხმდა - ზ. შეროზია და ბ. ზარანდია. ამ უკანასკნელმა, ადვოკატებისა და პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით, გააკეთა განცხადება, რომ თუ მოსამართლე ჯ. ლეონიძე არ მიიღებს პრინციპულ გადაწყვეტილებას, მაშინ ის და მისი ამხანაგები უარს იტყვიან პროცესში მონაწილეობაზე და მზად არიან თავგანწირვის აქტისთვის - აპირებენ ვენების გადაჭრას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც ჩანს ცრუ დაპირებით, დანარჩენი განსასჯელებიც ამოიყვანეს დარბაზში. მოსამართლე ჯ. ლეონიძემ წაიკითხა განჩინება, რომლის მიხედვითაც ექვსივე განსასჯელი "წესრიგის სისტემატური დარღვევისთვის" გაძევებული იქნა სასამართლო დარბაზიდან. განჩინების წაკითხვისთანავე, მოულოდნელობისგან გამოწვეულ სიჩუმეში, სასამართლო კოლეგიამ და პროკურორმა უსწრაფესად დატოვეს დარბაზი, ხოლო მოტყუებულმა განსასჯელებმა თავიანთი აღშფოთება ტაშით გამოხატეს. ბადრი ზარანდიამ გამწარებულმა ისროლა ყავარჯენი ფანჯრის მიმართულებით. დაზარალებულთა და განსასჯელთა ოჯახის წევრებმა წყევლა-კრულვა მორთეს. პოლიცია და ბადრაგი რატომღაც ცდილობდა დარბაზის გათავისუფლებას ჟურნალისტებისგან, თუმცა ისინი, თავის მხრივ, არწმუნებდნენ წესრიგის დამცველებს, რომ პირველ რიგში აუცილებელია დაზარალებულების გაყვანა კონფლიქტის გამწვავების თავიდან ასაცილებლად. ერთ-ერთმა პოლიციელმა იარაღი ამოიღო და შემართა დარბაზისაკენ, ხოლო მეორემ ძლიერი დარტყმა მიაყენა ერთ-ერთი განსასჯელის დას, ახალგაზრდა მანდილოსანს.

ამ აურზაურში ყველა ხმასა და სალანძღავ სიტყვას ფარავდა ბადრი ზარანდიას მჭახე შეძახილი: "რუსებო, რუსებო! თქვე ფაშისტებო, რუსებო!..." ამის შემდეგ იგი ცალი ფეხით შეხტა სკამზე და "შავლეგოს" სიმღერა დაიწყო.

ორი საათის შემდეგ მოსამართლე ჯ. ლეონიძემ ადვოკატები და დაზარალებულები დარბაზში მიიპატიჟა და სხდომის გაგრძელება განიზრახა, მაგრამ ამაზე ადვოკატებმა პროტესტი გამოთქვეს იმ მიზეზით, რომ სხდომაში მონაწილეობით, შესაძლოა, პოზიციურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან. მოსამართლე არ აპირებდა მათი მოსაზრების გაზიარებას, მაგრამ ექვსივე განსასჯელის ადვოკატმა დატოვა სასამართლო დარბაზი, მიუხედავად მუქარისა, რომ სასამართლო კოლეგია საჩივრით მიმართავს ადვოკატთა პრეზიდიუმს.

# განჩინება დაზარალებულთა იძულებით ჩამოყვანის შესახებ

სამხედრო ტყვემ, ბადრი ზარანდიამ 1 მაისს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის №1 საგამოძიებლო იზოლატორის უფროსს, პოლკოვნიკ ჯ. ბაწაშვილს იმის თაობაზე, რომ 24 აპრილიდან, ამპუტირებული მარჯვენა ფეხის ნაჭრილობევიდან, დაიწყო ჟონვა ჩირქოვანმა გამონადენმა. ამასთან დაკავშირებით მან მიმართა მედპერსონალს, მაგრამ მათ დახმარება არ აღმოუჩინეს პრეპარატების უქონლობის საბაბით. ტკივილებისა და მაღალი ტემპერატურის გამო, ბადრი ზარანდია მოითხოვდა გადაყვანას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

2 მაისს ბადრი ზარანდიამ დაიწყო საპროტესტო შიმშილობა, რაც სათანადო განცხადებით აცნობა იზოლატორის ადმინისტრაციას, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორის ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს, ა. კავსაძეს. მას სოლიდარობა გამოუცხადეს სასამართლო პროცესში მონაწილე განსასჯელებმა - ზვიად შეროზიამ, გურგენ მალანიამ, კარლო ჯიჭონაიამ, მურმან გულუამ და დავით ბენდელიანმა.

იმის გამო, რომ ამ აქციას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია, 6 მაისს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე განსასჯელებმა განცხადებით მიმართეს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს, ჯ. ლეონიძეს, რათა მას მიეღო შესაბამისი ზომები. მოსამართლემ არ განიხილა ეს საკითხი და განაცხადა, რომ ეს მის კომპეტენციაში არ შედის, ხოლო განსასჯელთა შიმშილობა - მათი უფლებაა.

სასამართლო კოლეგიისადმი მიმართულ განცხადებაში, განსასჯელი, ბადრი ზარანდია პროტესტს გამოთქვამდა აგრეთვე იმის გამო, რომ კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მისი ადვოკატის, გ. მდინარაძის შუამდგომლობა განსასჯელისთვის ახალი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. საქმე ისაა, რომ გამოძიების მასალებში ფიგურირებს სამედიცინო დასკვნა, რომლის მიხედვითაც ბადრი ზარანდიას მარჯვენა ქვედა კიდური ამპუტირებული აქვს ბარძაყის ზედა მესამედში, სინამდვილეში კი მას მარჯვენა ფეხი მთლიანად აქვს მოკვეთილი. ადვოკატის შუამდგომლობა შეეხებოდა ბ. ზარანდიას რეალური ფიზიკური მდგომარეობის დადგენის საკითხებს. შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს საქმეში მონაწილე ადვოკატებმა და განსასჯელებმა. მხოლოდ პროკურორი ა. სიკიაშვილი წავიდა წინააღმდეგი. მან ჩათვალა, რომ საქმეში არსებული სამედიცინო დასკვნა საკმარისია და სასამართლო კოლეგიას შეუძლია მას დაეყრდნოს. მოსამართლემაც ამ მოსაზრებას დაუჭირა მხარი.

გარდა ამისა, ბ. ზარანდიას განცხადებაში გამოთქმული იყო პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ 30 აპრილს სასამართლო კოლეგიის განჩინება დაზარალებულების და მოწმეების იძულებით გამოძახების შესახებ, თავმჯდომარე ლეონიძემ გამოიტანა ფაქტობრივად დახურულ სხდომაზე - არ დაუშვა განსასჯელთა ახლობლები, ჟურნალისტები და დამსწრენი, რითაც დაარღვია ღია სასამართლო პროცესის პრინციპები. ამით მას სურდა დაემალა ფართო საზოგადოებისთვის ის ფაქტი, რომ დაზარალებულები ძალით ჩამოსაყვანი გახდნენ - სამხარეო გამგებლის პასუხისმგებლობის დონეზე.

# ბადრი ზარანდიამ ვენები გადაიჭრა

სამხედრო ტყვემ, ბადრი ზარანდიამ 8 მაისს, №1 იზოლატორის საერთო საკანში,ორივე ხელზე ვენები გადაიჭრა. ამჟამად იგი გადაყვანილია ციხის სანიტარულ განყოფილებაში. ჭრილობაზე დადებული აქვს ნაკერები. მან განცხადებით მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე საქართველოში არსებულ ორგანიზაციებს, საერთაშორისო წითელ ჯვარს სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების მოთხოვნით. ასევე, საჩივარი შეიტანა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მ. უგრეხელიძის სახელზე სასამართლო გამოძიების პროცესში მთელი რიგი დარღვევებისა და ტენდენციურობის ფაქტებთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნემზარ მოლოდინაშვილი

## საარჩევნო კანონი აფხაზეთის რესპუბლიკისთვის

ამ პერიოდისთვის, ჩვენს კომისიასა და იუსტიციის სამინისტროში, დამუშავდა მეტად მნიშვნელოვანი საარჩევნო კანონი აფხაზეთის რესპუბლიკისთვის. მის მომზადებაში დიდი მონაწილეობა მიიღო ლევან ალექსიძემ. შექმნილი იყო არაორდინარული სიტუაცია: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ისევე, როგორც 28 ოქტომბრისას, ბოიკოტს უცხადებდნენ კონგრესში შემავალი პარტიები. თუ ქართველთა შორის დაპირისპირების არსებობა მეტ-ნაკლებად მოსათმენი იყო რაიონებში, სრულიად მოუთმენელი გახლდათ ავტონომიურ რესპუბლიკაში. ეს აძლევდა აფხაზთა (და არა მარტო აფხაზთა) სეპარატისტულად განწყობილ ნაწილს შანსს, რომ მრავალპარტიულ არჩევნებში აფხაზეთის უზენაესი საბჭო დაეკომპლექტებინათ მისთვის სასურველი რაოდენობით.

ამის გამო, მუშაობას შეუდგა შემთანხმებელი კომისია ლევან ალექსიძის, ჯონი ხეცურიანის, შემდეგ მურმან ომანიძისა და აფხაზეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, არჩევნების საკითხზე არ მოხერხდა სასურველი ერთიანობის მიღწევა ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან. ამის შემდეგ იქნა შემოთავაზებული კომპრომისული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ კვოტებს: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, მისი მოადგილე - ქართველი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე - ქართველი, მისი მოადგილე - აფხაზი. ქართველი უნდა ყოფილიყო აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრი. ამასთან, აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ყველა კონსტიტუციური ნორმა უნდა მიღებულიყო ხმების ორი მესამედით, რაც იქნებოდა გარანტია იმისა, რომ აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს ემუშავა მხოლოდ კონსენსუსის პრინციპზე. ჩემი აზრით, ეს იყო ოპტიმალური ვარიანტი და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშვიდობის შენარჩუნების საფუძველი.

ბატონი ზვიადი თავიდან არ იყო ამ კანონის მომხრე, მაგრამ ლევან ალექსიძემ და ჯონი ხეცურიანმა იგი დაარწმუნეს თავიანთ სისწორეში და, მე ვფიქრობ, არგუმენტირებულად.

სამწუხაროდ, შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართული დეპუტაციის მიერ თავისი მოვალეობებისა და კანონით მინიჭებული უფლებების უგულებელყოფამ მნიშვნელოვნად განაპირობა აფხაზეთში სიტუაციის აფეთქება.

## კრიზისი აღმასრულებელ ხელისუფლებაში

ამ პერიოდისთვის გამოიკვეთა გარკვეული დაძაბულობა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის. მე თავიდანვე აღვნიშნე, რომ თენგიზ სიგუას მოქმედებაში იყო ბევრი ისეთი ლაფსუსი (თუ პირდაპირი საბოტაჟი არა), რაც 1991 წლის იანვარშიც კი იძლეოდა მისი გათავისუფლების საბაბს.

17 აგვისტოს სხდომაზე სიგუამ, გალმა შედავების პრინციპით, ულტიმატუმი წაუყენა პრეზიდენტს გარკვეული პიროვნებების გათავისუფლების მოთხოვნით. მე არ განვიხილავ, რამდენად მართებული იყო მისი პრეტენზიები. აქ სხვა რამ იყო მთავარი: ეს მოთხოვნები იმდენად უხეში ფორმით იყო ჩამოყალიბებული, რომ ნათელი ხდებოდა - ადგილი ჰქონდა აშკარა ზეწოლას პრეზიდენტზე. საკადრისი პასუხის მიღების შემდეგ, სიგუამ დაწერა განცხადება წასვლის შესახებ და მისი გადადგომა მიღებულ იქნა.

## აგვისტოს პუტჩი

შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ 17 აგვისტოს შიდაპოლიტიკური კრიზისი არ იყო უსაფუძვლო ოპოზიცია შესანიშნავად გახლდათ ინფორმირებული 19 აგვისტოს მოვლენებზე და წინასწარ იჭერდა თადარიგს.

19-ში შევიკრიბეთ უზენაესი საბჭოს შენობაში. ბატონი ზვიადი 12 საათისთვის ჩამოვიდა ყაზბეგიდან. პირველი, რაც მან თქვა - ეს საოპერეტო პუტჩიაო. მოგვიანებით, მსგავსი რამ სხვა ცნობილმა პოლიტიკოსებმაც გაიმეორეს.

ამ დროისთვის საქართველოში, ფაქტობრივად ულტიმატუმებით, ჩამოვიდა სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, მგონი ქურავლიოვი. 19-შივე შედგა კონფიდენციალური შეხვედრა მასთან - ესაუბრნენ ასლან აბაშიძე და დილარ ხაბულიანი. ამის შემდეგ შეიკრიბა პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. ჩვენთვის ცნობილი გახდა ის ძირითადი მოთხოვნები, რასაც გკჩპ უყენებდა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას. უპირველესი მოთხოვნა იყო გვარდიის განიარაღება და მისი შს სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანა. გვარდია, კონსტიტუციითა და კანონით, ისედაც შედიოდა შსს-ს დაქვემდებარებაში. ფაქტობრივად, პრეზიდენტი დათანხმდა იმას, რაც კანონში იყო.

საქართველომ აიცილა პრევენტული დარტყმა, რომელიც საკმაოდ რეალური ჩანდა. იმავე სხდომაზე გადაწყდა, რომ პუტჩის დღეებში გვარდიის ნაწილებს უზრუნველეყოთ მთავრობის სახლის, უზენაესი საბჭოს შენობისა და სხვა სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების დაცვა. ბატონმა ზვიადმა პირადად სთხოვა თ. კიტოვანს ამ გადაწყვეტილების შესრულება. საპასუხოდ, თ. კიტოვანმა რკონისკენ დაძრა პრაქტიკულად მთელი გვარდია. კიტოვანის ეს აქცია პრეზიდენტის მიერ შეფასებული იყო (არაოფიციალურად) როგორც დეზერტირობა.

20 აგვისტოს პრეზიდენტმა მიმართა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს, აშშ-ის კონგრესსა და სენატს, რომ დაუყოვნებლივ ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა. საუბედუროდ, მისი მიმართვა არ იქნა ყურადღებული. ეს იყო იმ დროისთვის ყველაზე აქტუალური, ყველაზე ადექვატური ქცევა, რაც არც ერთი ქვეყნის მეთაურს არ გაუკეთებია.

19-21 აგვისტოს პუტჩის დღეებში კომუნისტთა გაზეთ "ცხოვრებაში" გამოქვეყნდა გკჩპ-ს მხარდამჭერი სტატია. ეს გახდა საფუძველი პრეზიდენტის და შემდეგ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა - საქართველოს ტერიტორიაზე კომპარტიის მოქმედების შეჩერების შესახებ. ამას მოჰყვა უზენაესი საბჭოდან კომუნისტი დეპუტატების დათხოვნა, რის შემდეგაც მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა დაემხოთ ქართული სახელმწიფო.

## ორი სექტემბრის აქცია

რკონში გასვლას მოჰყვა 2 სექტემბრის კონოვოკაცია. ამ დღეს, როცა საქართველო მასპინძლობდა ამერიკელ კონგრესმენებს, ეროვნული დემოკრატიული პარტიისა და 24-ე რეზოლუციის სხვა ინიციატორებმა დაგეგმეს და გამართეს მიტინგი კინოს სახლთან. მოხდა არასასურველი ექსცესი, რომელიც 2 სექტემბრის მოვლენების სახელითაა ცნობილი. იმავე დროს მოსკოვში სახალხო დეპუტატთა უკანასკნელ ყრილობაზე, ბალტიის რესპუბლიკებთან ერთად, უნდა განხილულიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხიც და ამ ინციდენტმა ესეც შეაფერხა. ამ აქციას საკმაოზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმპერიულ პრესაში, ასე რომ, მისი შემკვეთიც მაშინვე ნათლად გამოჩნდა.

## მოლაპარაკებები კიტოვანთან

რკონის ხეობიდან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა. ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იყო კიტოვანს თავისი ძალები დაეძრა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. პრეზიდენტთან შეთანხმებით, კიტოვანთან შესახვედრად წავედი რკონში. ჩემდა გასაკვირად, იქ დამხვდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეტაპზე განაწყენებული არაერთი პიროვნება: ჯონი ქარჩავა, პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრები და სხვანი. ჩემს დანახვაზე შეცბნენ.

დიდხანს ველაპარაკე თ. კიტოვანს და ვთხოვე, წამოსულიყო და შეხვედროდა პრეზიდენტს. ეჭვებისა და უნდობლობის თავიდან ასაცილებლად შევთავაზე, დავრჩენილიყავი რკონში და, იმ შემთხვევისთვის თუ თბილისში რაიმე გართულებას ექნებოდა ადგილი, დაეტოვებინა ჩემი დახვრეტის ბრძანება. თავიდან დამთანხმდა, მაგრამ რაღაც მომენტში გადაიფიქრა.

ანალოგიური წინადადებებით მასთან არაერთხელ ავიდნენ სხვა პიროვნებებიც - ჯემალ გოლეთიანი, ელიზბარ ჯაველიძე და სხვანი - მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

## ოპოზიცია ზრუნავს პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე

ოპოზიციამ უკიდურესობამდე გაამწვავა ქვეყნის შიდა სიტუაცია. ყველაფერს ემჩნეოდა გამოცდილი დირიჟორის ხელი. იყო გაუთავებელი მოწოდებები - ხელისუფლების დამხობისა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევისა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ი. წერეთელი, გ. ჭანტურია და კონგრესის სხვა ლიდერები. დაიწყო აქციები რუსთაველის გამზირზე. ედპ-ს შტაბბინასთან და იმელთან ბარიკადებით გადაიკეტა ქუჩა.

იყო ოპოზიციასთან მოლაპარაკების მცდელობაც. გაჩნდა ინტელიგენციისა და სახელოვან ადამიანთა პრეზიდენტთან არსებული საბჭოს შექმნის იდეა. მასში შედიოდნენ ის ადამიანები, რომლებმაც შემდგომ სახელმწიფო საბჭო დააკომპლექტეს. მათი პირველივე შეკრება არასასიამოვნო ექსცესით აღინიშნა. ჭ. ამირეჯიბმა მიმართა ზვიად გამსახურდიას, რომ პირადად მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც კარგად იყო ცნობილი ზვიად გამსახურდიას დამსახურება საბჭოთა ტოტალიტარიზმთან ბრძოლაში და შემდგომ მის დამხობაში, მაგრამ ეს პროცესი მეტად დამქანცავი და ნერვების მომშლელი აღმოჩნდა პრეზიდენტისთვის; ამიტომ, ურჩია დაეთმო ხელისუფლება და ემკურნალა. პრეზიდენტის პასუხი საკმაოდ დელიკატური იყო - მან მადლობა გადაუხადა მის ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის. ამით დამთავდა ამ ორგანიზაციის საქმიანობა.

## ტელევიზიის აქციები

აქდენი ხნის განმავლობაში რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადების არსებობა სრულიად მოუთმენელი შეიქნა. სექტემბრის ბოლოსთვის ის ბარიკადები აიღო ხალხმა. რუსთაველის პროსპექტი გაწმენდილ იქნა, მაგრამ ოპოზიციონერებმა ტელევიზიის შენობისკენ გადაინაცვლეს. კიტოვანი განუწყვეტლივ აკეთებდა, თავისი აზრით, პოლიტიკურ განცხადებებს, სადაც აფიქსირებდა, რომ ნებისმიერი საპროტესტო გამოსვლა მხარდაჭერას პოვებდა მისგან. შეიქმნა საოცარი სიტუაცია: გაჩნდა ე.წ. შეიარაღებული ოპოზიციის ცნება, რომელსაც თურმე ხელისუფლება დინჯად და კონსტრუქციულად უნდა დალაპარაკებოდა.

ამავე პერიოდში ფართო მასშტაბი მიიღო პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნამ. აქტიურად ფიგურირებდა ჯაბა იოსელიანის გვარი. რამდენადაც ვიცი, ჯ. იოსელიანი კვლავ ციხეშია და გასაოცარია, რა იქნენ მისი დამცველები, დღეს რატომ აღარ ისმის მათი ხმები? იმედია გამოჩნდებიან.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა სიგუა-კიტოვანის ტანდემი, კიტოვანთან დალაპარაკება შეუძლებელი გახდა. სიგუა სადღეღამისოდ დაბანაკდა შავნაბადაზე და იქიდან ხელმძღვანელობდა ე.წ. ოპოზიციას.

მალე ტელევიზიასთან გამოჩნდა კიტოვანის შეიარაღებული ფორმირებები. მათ გადაკეტეს კოსტავას ქუჩა ტანკსაწინააღმდეგო ზღარბებით და ტელევიზიასთან დაბანაკდნენ. ყოველი დეტალი გათვლილი იყო. იქმნებოდა პრეცედენტი იმისა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას თბილისის ცენტრში ჰყოლოდა არა პიროვნული, არამედ შეიარაღებული ძალით დაცული, ვითომ კონცეპტუალური და იდეური ოპოზიცია. მიმდინარეობდა იდეური ქარგების ჭრა და მათი სიტუაციაზე მორგება - დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ძირს იზოლაციონიზმი, ძირს დიქტატურა... ეს ყალბი სამზარეულო აუცილებელი იყო, რათა გაემართლებინათ შეიარაღებული წინააღმდეგობა.

## მოლაპარაკებები ოპოზიციასთან

უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. იყო სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების მცდელობები. იუსტიციის სამინისტროში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის გაიმართა მოლაპარაკება, სადაც ვიყავით - მე, ჯ. ხეცურიანი და მ. ომანიძე, ოპოზიციიდან - გ. შენგელაია, ვ. ძაბირაძე, ავთ. ცქიტიშვილი. პირველივე შეხვედრაზე (ის ერთადერთი აღმოჩნდა) დაისვა საკითხი, ვის წარმოადგენდა მოპირისპირე მხარე: თუ ვესაუბრებოდით პოლიტიკურ ოპოზიციას, რა ესაქმებოდა ამ შეხვედრაზე ავთანდილ ცქიტიშვილს, ხოლო თუ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ განდგომილ გვარდიასთან, მაშინ რა შუაში იყო შენგელაია და ძაბირაძე; ან უნდა დაფიქსირებულიყო, რომ ისინი წარმოადგენდნენ შეიარაღებულ ოპოზიციას. მათ ეს არ ისურვეს. მოლაპარაკება, ფაქტობრივად, ჩაიშალა.

## საგანგებო სესიის დანიშვნის მოთხოვნა

1991 წლის ივლის-აგვისტოსთვის გადაჭრილი სამაჩაბლოს პრობლემა, სექტემბრის მოვლენების შემდეგ, კვლავ იძენს სიმწვავეს. აიშალა შენელებული მოქმედების ნაღმი, თითქოს დირიჟორის ხელის დაქნევას ელოდებოდა. სამაჩაბლო ამ დროისთვის მიტოვებული ჰქონდათ რკონში "სავარჯიშოდ" წასულებს. პრეზიდენტის მოწოდებას, დაეცვათ საქართველოს ინტერესები სამაჩაბლოში, კიტოვანი ეშმაკობად თვლიდა. თითქოს პრეზიდენტი ცდილობდა, შეეტყუებინა გვარდია სამაჩაბლოში, რის შემდეგაც გორბაჩოვი გამოაცხადებდა საგანგებო მდგომარეობას, გამწვავდებოდა კონფლიქტი და გვარდიელებს ამოხოცავდნენ. ეს დასკვნა მისი "ღრმა" ანალიზის შედეგი იყო.

1991 წლის ოქტომბერს, თელასის ინციდენტის შემდეგ, შეიარაღებულმა ბანდებმა, რატომღაც სრულიად მშვიდობიანად, დაცალეს ტელევიზია, მიატოვეს ცირკის მაღლობები და დაბანაკდნენ თბილისის ზღვაზე.

ფაქტობრივად, ოქტომბრიდან დეკემბრამდე მათ არც არგუმენტები მომატებიათ, არც ძალა. რაც მათ გააკეთეს 21 დეკემბერს, იგივე შეეძლოთ 1-2 ოქტომბერსაც განეხორციელებინათ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დაძაბულობის ცენტრი აქ არ ყოფილა. მთავარი ძალა საქართველოს გარეთ იყო და საბედისწერო დარტყმისთვის ემზადებოდა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# პროკურატურას ეშინია და ეძებს არგუმენტებს

6 მაისს ზვიად ძიძიგურმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის სახელით, მისთვის საზოგადოებრივ დამცველად ანა ჭავჭავაძის დანიშვნის შესახებ. ამაზე თანხმობა განაცხადეს განსასჯელებმაც და მათმა ადვოკატებმაც, ხოლო პროკურორმა წერეთელმა ბრალდების მხარის პოზიცია ამგვარად ჩამოაყალიბა - ეს მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგანაც დამცველს საქმის მასალების გასაცნობად სჭირდება დრო და ეს გამოიწვევს საქმის გაჭიანურებასო. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსამართლე ალადაშვილმა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ბრალდების მხარის არგუმენტი და არ დააკმაყოფილა განსასჯელის შუამდგომლობა.

7 მაისს ზვიად ძიძიგურმა, კვლავ დასვა შუამდგომლობა მისთვის საზოგადოებრივი დამცველის დანიშვნის თაობაზე და აცნობა სასამართლო კოლეგიას, რომ ანა ჭავჭავაძე, მასთან მიღწეული შეთანხმებით, უარს აცხადებს საქმის გაცნობისთვის კანონით განსაზღვრული დროის გამოყოფაზე. ამჯერად მოსამართლემ, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, გაიმეორა თავისი წინა გადაწყვეტილება. ზვიად ძიძიგურმა მიუთითა, რომ პასუხი არამოტივირებულია. ალადაშვილმა მკვახედ განმარტა, რომ მისი გადაწყვეტილება ეყრდნობა საპროცესო კოდექსს.

8 აპრილს ზვიად ძიძიგურმა მესამედ დასვა იგივე საკითხი და მოითხოვა სასამართლო კოლეგიისგან მოტივირებული პასუხის გაცემა განჩინების სახით.

პროკურორმა წერეთელმა მოსამართლეს მიაწოდა რესპუბლიკის პროკურატურის მიერ წარდგენილი ცნობა იმის თაობაზე, რომ თურმე, ანა ჭავჭავაძე მოწმის სახით იქნა დაკითხული ე.წ. ძირითადი საქმის ძიების დროს. საქმისა, რომელზეც წინასწარი ძიება ამჟამადაც მიმდინარეობს და, ამდენად, არა აქვს უფლება, დაიცვას ზვიად ძიძიგური. ამან ბუნებრივად გამოიწვია განსასჯელებისა და ადვოკატების გაოცება; უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ანა ჭავჭავაძის ჩვენება არ მოიპოვება ს/ს საქმე №7495927-ში და მისი გვარი არ არის პროკურატურის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ დასაკითხ მოწმეთა სიაში. ამასთან დაკავშირებით, ლოთი ქობალიას ადვოკატმა ოთარ ფანქველაშვილმა შესთავაზა სასამართლო კოლეგიას:

- მაქვს წინადადება, რომ ანა ჭავჭავაძე არ დაუშვათ საზოგადოებრივ დამცველად იმ ძირითადი საქმის სასამართლო განხილვისას, როდესაც იგი შედგება, და დაუშვათ ამ საქმეზე.

მაგრამ მოსამართლეზე არც ამ არგუმენტმა გასჭრა.

განსასჯელებმა უმალ დააფიქსირეს, რომ სასამართლო, ამგვარი გადაწყვეტილებით, არღვევს საპროცესო კოდექსის მე-7-ე მუხლს, ასევე უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ უფლებას - დაცვის უფლებას. მათი თქმით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურას ეშინია ანა ჭავჭავაძის.

საზოგადოებრივმა დამცველმა ლია ბერუაშვილმა პროტესტის ფორმით დააფიქსირა, რომ სასამართლო ზღუდავს განსასჯელთა დაცვის პოზიციებს და არ არის დაინტერესებული ობიექტური გამოძიებით.

# თბილისის ციხეშია პატიმარი გვარად დუდაევი

1996 წლის 3 მაისს, უშიშროების სამსახურის იზოლატორიდან თბილისის №1 იზოლატორში გადმოყვანილ იქნა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას მოქალაქე ხოჯ-აჰმედ დუდაევი. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, იგი დაპატიმრებულია 1994 წლის 10 მაისს, ყაზბეგში და ბრალი ედება ს/ს კოდექსის 66-ე (ჯაშუშობა) და 79-238-ე (იარაღის კონტრაბანდა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში, თითქოს მან საქართველოში "კამაზის" ტიპის 40 სატვირთო მანქანით შემოიტანა დიდძალი იარაღი (?!).

სუს-ის იზოლატორში ყოფნისას, მას რამდენჯერმე მიუმართავს მოთხოვნით, მიეცათ საშუალება შეხვედროდა საერთაშორისო წითელი ჯვრისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მაგრამ ამაოდ. ორი წლის განმავლობაში იგი მოკლებული იყო ყოველგვარ ინფორმაციას ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არ ჰქონია ახლობლებთან არავითარი კონტაქტი, არ იცის ცოცხლები არიან თუ არა მისი ოჯახის წევრები, და, შესაბამისად, არც მათ იციან მის შესახებ რაიმე.

ამა წლის 6 მარტს, უზენაეს სასამართლოში დაიწყო მისი საქმის განხილვა, მაგრამ საქმე კვლავ ძიებას დაუბრუნდა დანაშაულის ფაქტების არარსებობს გამო. თავად ეს გარემოება ბადებს ეჭვს, რომ ჩეჩნეთის მოქალაქის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზია არა მის ქმედებაში დანაშაულის არსებობა, არამედ მისი ეროვნება და, ცხადია, გვარი.

**დამატებითი ინფორმაციის სახით, ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას ვაცნობებთ: ხოჯ-აჰმედ ხავაჟის ძე დუდაევი დაბადებულია 1968 წლის 13 ივნისს; მუდმივი საცხოვრებელი ადგილია გროზნოს რაიონის სოფელი ჩეჩენო აული, კომკავშირის ქუჩა №15. ჰყავს მეუღლე - მარიამ დუდაევი და ორი ბიჭი - ექვსი წლის ხაზირი და ოთხი წლის ალი.**

## კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

### დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




## მეხუთე თავის დასასრული
## საქართველოს მეორე რესპუბლიკა

ამაოდ ცდილობდა მთავრობა რენეგატებთან მოლაპარაკებას. ოპოზიციას ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდა - გამსახურდიას გადაყენება. ამ მიზნის განხორციელებისთვის მათ მიმართეს აქციებს და ქალაქის მთავარ ქუჩაზე ბარიკადები აღმართეს. ნაწილმა ტელევიზიის შენობა დაიკავა. პრეზიდენტს კარგად ესმოდა, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალის გამოყენება არ შეიძლებოდა. მათი ქმედება სხვაგვარად უნდა აღაგმულიყო. მისი შემწყნარებლური პოლიტიკა იმხანად, მრავალთა მიერ, სისუსტედ აღიქმებოდა. მათ მიაჩნდათ, რომ გამსახურდიას უნდა დაესაჯა ჯაბა იოსელიანი. ხალხმა მაშინღა გაიაზრა გამსახურდიას მნიშვნელობა. როცა უკვე ძალიან გვიან იყო... ასე თანდათანობით ახლოვდებოდა ულმობელი ბედისწერა.

ამ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მომზადებას აღწერს შევარდნაძის უწინდელი ფავორიტი, საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს ყოფილი უფროსი ირაკლი ბათიაშვილი გაზეთისთვის "ივერია ექსპრესი" მიცემულ ინტერვიუში (№ 5/226, 1994). მასში ნათქვამია, რომ 1991 წლის სექტემბერში ოპოზიციისა და ამბოხებული ინტელიგენციის წარმომადგენლები მოსკოვში ჩადიოდნენ რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრებთან - ბურბულისთან, რუცკოისთან, პრიმაკოვთან, შევარდნაძესთან, კოზირევთან და სხვებთან მოსალაპარაკებლად. დახმარების იმედით გამხნევებულნი ბრუნდებოდნენ სამშობლოში, რომ უკომპრომისოდ ებრძოლათ გამსახურდიას ე.წ. დიქტატურის წინააღმდეგ. ამასობაში კი როგორც მათ წრეში, ისე ეროვნულ გვარდიაში, უშიშროების კომიტეტის მრავალმა აგენტმა მოიყარა თავი.

კიტოვანის სამხედრო ფორმირება გაიზარდა უხელმძღვანელოდ დარჩენილი მხედრიონის ხარჯზე. თანამედროვე რუსული იარაღით მათ აღჭურვაზე კავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურის მოადგილემ, გენერალმა ბეპაევმა იზრუნა, რომელიც მოგვიანებით მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში თავსაც კი იწონებდა ამ ფაქტით. თუმცა, არ გაუმჟღავნებია, ვისგან მიიღო საამისო ბრძანება და ძალმოსილება.

გვიან შემოდგომით კვლავ შედგა მოლაპარაკება რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის პრეზიდენტებს შორის, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება დეკემბრის თვეში, ალმა-ატაში, დსთ-ს დაფუძნების შესახებ. ამ პროექტის განსახილველად ყაზახეთში საქართველოს დელეგაციაც გაემგზავრა. მან უარი განაცხადა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებაზე, რადგან თანამეგობრობაში გაერთიანების პირობები საქართველოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს პროექტი წარმოადგენდა რუსეთის მიერ სხვა რესპუბლიკების ინტერესების შეზღუდვის მცდელობას, უპირველეს ყოვლისა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონების გადანაწილების საკითხში. ამას ისიც ემატებოდა, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სრულიად გაუმართლებელ ომს წარმართავდა.

დელეგაციის თბილისში დაბრუნების დღეს ოპოზიციამ პირველი იერიში მიიტანა მთავრობის სასახლეზე.

საქართველოს მეორე რესპუბლიკის დაქვემდებარებაში მყოფი არმია არ იყო კარგად მომზადებული; მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მოხალისე არსებობდა, რომელთა ხარჯზე შეიძლებოდა გვარდიის გაძლიერება. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგეებმა გაიმაგრეს პოზიციები კარგად გაწვრთნილი რუსი ტანკისტებით. მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკული გახდა მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბესიკ ქუთათელაძემ, ვის უშუალო მოვალეობასაც წარმოადგენდა სატელევიზიო ანძის დაცვა, პუტჩისტებს ჩააბარა ტელევიზია. ამ ღალატის შედეგად, ამბოხებულებმა გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს.

სამი წლის შემდეგ, გამსახურდიას ერთ-ერთი ოფიცერი გაზეთში "მსგეფსი" (№ 2/95) ამტკიცებდა, რომ 1992 წლის 5 იანვარს 300 გვარდიელი და 5 ტანკი მზადყოფნაში იყო პუტჩისტების წინააღმდეგ შეტევაზე გადასასვლელად. გვიან ღამით (მეორე დღეს საომარი ოპერაცია უნდა დაწყებულიყო) მათ პრეზიდენტის ბრძანება გადაეცათ. შეტევა არ განხორციელდებოდა, რადგან ისინი მთავრობის სასახლეს ტოვებდნენ. პრეზიდენტის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ დაბნეულობა გამოიწვია.

ამას თავად გამსახურდია, 1992 წლის შემოდგომაზე ვენაში ყოფნის პერიოდში. შემდეგნაირად ხსნიდა: "მცირე ხნით შევძლებდით საბრძოლო უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ სამოქალაქო ომი ჩვენი პოლიტიკური და მორალური დაცემის მაჩვენებელი იქნებოდა. ამის შემდეგ უკვე ველარ გავიმარჯვებდით."

1992 წლის 6 იანვრამდე პრეზიდენტი ალყაშემორტყმულ მთავრობის სასახლეში იმყოფებოდა. 6 იანვარს, გვიან ღამით, ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველო, მისივე სიტყვებით "სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით". შემოვლით მან ჩეჩნეთამდე მიაღწია, სადაც ერთგული მეგობარი, გენერალი ჯოჰარ დუდაევი ეგულებოდა. ჩეჩნეთმა საქართველოს პრეზიდენტი დიდი პატივით მიიღო.

თავისუფალი არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული პარლამენტი ძალის გამოყენებით იქნა განდევნილი. მისი ადგილი რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფმა "სამხედრო საბჭომ" დაიკავა. ედუარდ შევარდნაძე, როგორც "ერის მხსნელი", მოსკოვიდან ჩამოფრინდა. მან "სამხედრო საბჭოს" სახელი შეუცვალა - "სახელმწიფო საბჭო" დაარქვა და მისი თავმჯდომარეც თავად გახდა. საქართველოში შეიქმნა ახალი პოლიტიკური სიტუაცია.

რუსეთის გენერლებთან შეთანხმებით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი და მისი ამერიკელი კოლეგა ბეიკერი, ღიად უჭერდნენ მხარს ედუარდ შევარდნაძეს, რითაც ფაქტობრივად მოუმზადეს ნიადაგი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად.

ამით დასრულდა საქართველოს მეორე რესპუბლიკის ტრაგიკულად ხანმოკლე ისტორია, რომელიც ასე იმედიანად დაიწყო. მისი არსებობა ხომ 36-მა ქვეყანამ აღიარა. აშშ-მა ის მხოლოდ პუტჩის დაწყების შემდეგ ცნო, რაც გაორებულ გრძნობას იწვევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას: ზვიად გამსახურდია ერთადერთი ხელისუფალია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში, რომელიც მოქმედებდა ეროვნული სულისკვეთებით, თავისუფლების მაღალი იდეალებიდან გამომდინარე. ეს კი არანაირად აძლევდა ხელს იმ ძალებს, რომელთაც თავიანთ ნებაზე სურთ მსოფლიოს "მოწესრიგება". არასასურველი ხელისუფლების დასამხობად ამოქმედებული იყო იმპერიის ჯოჯოხეთური მანქანა. საქართველოში არავინ ისე მძაფრად არ გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს, როგორც თვით პრეზიდენტი. ამიტომაც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოესწრო მისთვის განჩინებულ დროის მონაკვეთში. ამის გამო იქცა 1991 წლის გაზაფხული ერთგვარ მარათონად: ჯერ რეფერენდუმი, მერე დამოუკიდებლობის აქტის მიღება, ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნები. ამადაც მუშაობდა იგი მთელი დატვირთვით. მთავრობის სასახლეში დარჩენილს ღამეც ბევრჯერ გაუტეხია. საკუთარი ხელით წერდა მიმართვებს, აკონტროლებდა თანამდებობის პირთა მუშაობას, ხელმძღვანელობდა დაუმორჩილებლობის აქციებს, მართავდა მიტინგებს მთავრობის სახლთან, პირადად იღებდა და ესაუბრებოდა უამრავ მთხოვნელს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტი ფაქტობრივად მარტო უძღვებოდა საქმეს, სხვები კი გარკვეულწილად ემოციური მხარდაჭერის ფონს თუ უქმნიდნენ მას. ამის მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ მის ერთგულ ადამიანებს რეალურად ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა ცოტა დრო რჩებოდა სახელმწიფო გადატრიალებამდე. ისინი საფრთხეს ან საერთოდ ვერ გრძნობდნენ, ან ბუნდოვანი, გაუცნობიერებელი გრძნობა ჰქონდათ, რომ პრეზიდენტი ფიზიკურადაც დაუმარცხებელი იყო.

ზვიად გამსახურდია ძალაუფლებას არ ებღაუჭებოდა, არც სავარძლისთვის სწუხდა, არამედ სურდა ნამდვილად ეროვნული ინტერესებით მოქმედი ხელისუფლების პრეცედენტის შექმნა, რომელიც მომავლისთვისაა გამიზნული და უთუოდ გამოიღებს ნაყოფს, როცა შეიქმნება პირობები ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისთვის.

ვინმემ შესაძლოა დაადანაშაულოს იგი, თითქოს მისი პოლიტიკური გამონათქვამები მოუხეშავი და არადიპლომატიური იყო. ასეთებს მივუგებდით, რომ ზვიად გამსახურდია სწორედ სიმართლემ და პირდაპირობამ მიიყვანა ხელისუფლების სათავეში და არა დიპლომატიურმა ხრიკებმა და პარტიულმა ინტრიგებმა. მან იცოდა, რომ ქართველი ერი ჯერ მეფის რუსეთის კოლონიურმა მმართველობამ, მერმედ ბოლშევიკურმა რეჟიმმა, ფაქტობრივად ააცდინა თავისი ბუნებრივი განვითარების გზას. ჩვენი განკურნება კი შესაძლებელია მხოლოდ სიმართლის გზაზე დადგომით და სხვა არაფრით.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თამარ იაშვილმა*

(გაგრძელება იქნება)

---

## TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## №17 (in brief)
## 14 - 21 May, 1996

## Prosecutor's Office Changes. the Materials of the Case

The defendants, political prisoners Zaza Danelia, Koba Dzidziguri, Vazha Tsereteli and Giorgi Korbesashvili again claim that Criminal Case # 1095211 is not completed investigated. For this reason the investigation has to amend and correct the materials of the case in the while political prisoners are in the process of getting familiar with the Case.

The Deputy Prosecutor General Anzor Baluashvili who seems to be irritated with everlasting complains of the defendants made a statement by which the term of getting familiar with the materials of the case was limited for the political prisoners to the middle of May.

## Badri Zarandia Cut His Veins

On May 7 when the Court hearing of the Case of a prisoner of war Badri Zarandia and others should have been resumed, the defendants refused to come to the Court hall until the Chairman of the Court Board discussed the demand of Badri Zarandia to be rendered medical aid. From May 2 despite of the fact that the defendant was on hunger strike the judge was avoiding the responsibility and claimed that he was not authorized to solve these problems. Only two defendants Z. Sherozia and B. Zarandia consented to come to the Court Hall. Mr. Zarandia in the presence of the lawyers and representatives of the press made a statement that unless the judge Leonidze made a principal decision, he and his friend would not take part in the Court hearing. He said that they are ready to sacrifice themselves and cut their veins. Some time later, apparently by false promises the remaining defendants were escorted to the Court Hall. The Court Board occupied their places and the judge J. Leonidze read the decision according to which all six defendants "for regular violation of the order" were to be chased out the Court Hearing. Immediately after reading the decision, the Court Board and Prosecutor with enviable speed left the Hall in the silence caused by surprise on hearing these words. The cheated prisoners responded with ironic applause. This was followed by the curses of the victims and the police unsuccessfully tried to clear the Court Hall. One of the policemen took out his gun and aimed it at the audience.

All the curses and shouts were overlapped by the loud voice of Badri Zarandia who was repeating "Russians, Russians! You, fascists!, You, Russians!".

Two hours later the judge J. Leonidze invited the lawyers and victims to the Court hall and made an attempt to continue Court Session, but the lawyers showed their protest under the pretense that by participating inn the Court Session they could find themselves in controversy related to the interests of their defendants. The judge was not in the mood to share their arguments, but the lawyers of all six defendants left the Court hall notwithstanding the threats that the Court Board would complain to the Presidium of the Lawyers Board.

On May 8 in the common cell of #1 Isolator the prisoner of war Mr. Badri Zarandia cut his veins on both hands. Now he is transferred to the sanitary department of the prison. His wounds are sutured. He appealed to the International Organizations for Human Rights, as well as to the organizations existing in Georgia, and top the International Red Cross Society in connection with rendering him a comprehensive medical aid. He also made a complaint to the Chairman of the Supreme Court M. Ugrekhelidze about the facts of a number of violations in the course of Court Investigation.

*S. Guramishvili*

## The Prosecutor's Office is Scared and is Looking for the Arguments

On may 6 Mr. Zviad Dzidziguri made a motion to the Court claiming to appoint Mrs. Ana Chavchavadze as his public defender on the behalf of All-Georgia Human Rights Association. Both defendants and their lawyers gave their consent to this, though the Prosecutor considered it unreasonable since the defender required time to get familiar with the materials of the Case which would have prolonged the Court hearing. As it should be expected, he judge Aladashvili literally word for word repeated the arguments of the Prosecution and refused to satisfy the motion of the defendant.

On May & Zviad Dzidziguri again made a motion about appointing a public defender for him and informed the Court Board, that Mrs. Ana Chavchavadze by the agreement achieved refused to use the time envisaged by the Law for getting familiar with the Case materials. This time the judge without any arguments simply repeated his previous decision.

On April 8 Mr. Zviad Dzidziguri for the third time made the same motion and demanded from the Court Board the motivated answer in the form of decision.

All of a sudden the Prosecutor Tsereteli rushed to the judge and handed him the document presented by the republican Prosecutor's Office saying that Mrs. Anna Chavchavadze happened to be interrogated as a witness in the course of investigation of the so-called major case, that is the Case which is still in the process of investigation, and hence she had not the right to defend Mr. Zviad Dzidziguri. This naturally caused the surprise of the defendants and their lawyers, since no testimonies of Mrs. Anna Chavchavadze could be found in the materials of the Criminal case # 7495927, and her name has never been mentioned in the list of the witnesses to be interrogated presented by the Prosecutor's Office to the judge. In relation to this the lawyer of Loti Kobalia Mr. Otar Pankvelashvili offered to the Court Board: " I would like to suggest you not to allow Mrs. Anna Chavchavadze to be a public defender at the Court hearing of the Major Case, when such will be appointed, and allow her to be a public defender at this Court hearing.

However neither this convincing argumentation had any effect on the judge. The defendants immediately noted that the Court by taking such decision violates Article 7 of the Criminal Law and most important constitutional right - the right for defense. They said that an impression was left that the Prosecutor's Office is afraid of Anna Chavchavadze.

The public defendant Mrs. Lia Beruashvili in the form of protest recorded that the Court limited the defense positions of the defendants and was not interested in unbiased investigation.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia